ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

# პ ა ნ თ ე ო ნ ი



# The Pantheon
## of Ivane Javakhishvili State University of Tbilisi

2005

უნივერსიტეტის პანთეონი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობაა. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დაკრძალული არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლები, მათ სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სხვადასხვა სამეცნიერო სკოლისა და მიმდინარეობის დაფუძნება-განვითარება.

უნივერსიტეტის ბაღში 1927 წელს პირველად უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი დაიკრძალა. ერთი წლის მერე, თსუ დაარსების ათი წლის იუბილეზე, რომელიც საზეიმოდ აღინიშნა მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, უნივერსიტეტის ეზოში საფუძველი ჩაეყარა პ.მელიქიშვილის ძეგლს. პირველი რექტორისადმი მიძღვნილ სიტყვაში პრორექტორმა კორნელი კეკელიძემ აღნიშნა: “შენ ვერ ესწრები ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის დღესასწაულს, მაგრამ შენი საფლავი იგრძნობს იმ უაღრეს პატივისცემასა და სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულია შენდამი შენი მონაფე ახალგაზრდობა. ათასი წლები გაივლიან, თაობები მოვლენ და წავლენ, მაგრამ შენი ძეგლი და შენი დიდი სახელი მუდამ იცოცხლებს და გზას გაუნათებს მომავალ თაობათა ახალგაზრდობის დაუსრულებელ რაზმებს.” — ეს სიტყვები შეიძლება ითქვას საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის ყველა ფუძემდებლის შესახებ.

The Pantheon of the University is a distinct cultural and historical sight of Georgia. The founders of Tbilisi State University named afher Ivane Javakhishvili are buried in the yard of Building I of the University. The establishment and development of various scientific and scholarly schools and trends in Georgia are linked to their names.




1. ანდრია რაზმაძე ANDRIA RAZMADZE
2. ივანე ჯავახიშვილი IVANE JAVAKHISHVILI
3. აკაკი შანიძე AKAKI SHANIDZE
4. დიმიტრი უზნაძე DIMITRI UZNADZE
5. პეტრე მელიქიშვილი PETRE MELIKISHVILI
6. გიორგი ახვლედიანი GIORGI AKHVLEDIANI
7. ივანე ბერიტაშვილი IVANE BERITASHVILI
8. კორნელი კეკელიძე KORNELI KEKELIDZE
9. შალვა ნუცუბიძე SHALVA NUTSUBIDZE
10. გიორგი ჩუბინაშვილი GIORGI CHUBINASHVILI
11. გიორგი წერეთელი GIORGI TSERETELI
12. ფილიპე გოგიჩაიშვილი PILIPE GOGICHAISHVILI



**ივანე ჯავახიშვილი** (1876-1940), საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი და სულისჩამდგმელი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი დეკანი, რექტორი, მეცნიერების ფაქტობრივად თითქმის ყველა დარგში ფუძემდებლური ნაშრომების ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ინიციატორი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე, რუსთაველის მუზეუმის დირექტორი.

მოქანდაკე: **თენგიზ ღვინიაშვილი**

**IVANE JAVAKHISHVILI** (1876-1940), initiator and inspirer of the founding of the Georgian University, first Dean of its Faculty of Philosophy and later Rector, author of fundamental works in almost all branches of scholarship, initator of the setting up of the Georgian Academy of Sciences, Head of the History Department of the State Museum ofGeorgia, Director of the Rustaveli Museum.

Sculptor: **Tengiz Ghviniashvili**




**ანდრია რაზმაძე** (1889-1929), უნივერსიტეტის დამაარსებელი, თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი, მათემატიკაში ქართულ ენაზე პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი, ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ფუძემდებელი.

მოქანდაკე: **ბიძინა ავალიშვილი.**

**ANDRIA RAZMADZE** (1889-1929), founder of the University, initiator of modern mathematical science in Georgia, first dean of the Faculty of Mathematics and Natural Sciences at the University, author of the first university mathematical textbooks in Georgian, creator of Georgian terminology.

Sculptor: **Bidzina Avalishvili**



**აკაკი შანიძე** (1887-1987), უნივერსიტეტის დამაარსებელი, უნივერსიტეტის ქართული ენის, სომხური ენის, ძველი ქართული ენის კათედრების გამგე, ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ტექსტოლოგიის, არმენისტიკის, ალბანოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თბილისის უნივერსიტეტში პირველი დისერტაციის ავტორი.

მოქანდაკე: **ბიძინა ავალიშვილი**

**AKAKI SHANIDZE** (1887-1987), founder of the University, Head of the Chair of the Georgian Language, Head of the Chair of Old Georgian, one of the initiators of the study of the structure and history of the Kartvelian languages, Georgian dialectology, lexicology, textual criticism, Armenian Studies, Albanian Studies; author of the first thesis defended at Tbilisi University.

Sculptor: **Bidzina Avalishvili**






**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲣᲖᲜᲐᲫᲔ** (1886-1950), უნივერსიტეტის დამაარსებელი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, თანამედროვე ქართული პედაგოგიკის ერთ-ერთი პირველი შემოქმედი.
მოქანდაკე: **გიორგი ოჩიაური**

**DIMITRI UZNADZE** (1886-1950), founder of the University and of the Georgian Psychological School, one of the founders of the Georgian Academy of Sciences, one of the first creators of modern Georgian pedagogy.
Sculptor: **Giorgi Ochiauri**

**ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1850-1927), უნივერსიტეტის დამაარსებელი, ცნობილი ქიმიკოსი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი, უნივერსიტეტში ორგანული ქიმიის კათედრის დამაარსებელი და გამგე, ქიმიის ლაბორატორიის, არაორგანული და ორგანული ქიმიის კათედრების დამფუძნებელი, მრავალი ქვეყნის სამეცნიერო აკადემიის წევრი და პრემიის მფლობელი.
მოქანდაკე: **იაკობ ნიკოლაძე**

**PETRE MELIKISHVILI** (1850-1927), founder of the University, well-known chemist, first Rector of the University, founder and head of the Chair of Organic Chemistry at the University, founder of the laboratory of chemistry, chair of inorganic chemistry, member of scientific academies of many countries and holder of prizes.
Sculptor: **Iakob Nikoladze**





**გიორგი ახვლედიანი** (1887-1973), უნივერსიტეტის დამაარსებელი, ენათმეცნიერებაში პირველი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი, უნივერსიტეტში ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის დამაარსებელი, საქართველოში საენათმეცნიერო საზოგადოებისა და ლოგოპედიის ფუძემდებელი, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის, სანსკრიტის, ბერძნული და ოსური ენების მკვლევარი.
მოქანდაკე: **ოთარ ფარულავა**

**GIORGI AKHVLEDIANI** (1997-1973), founder of the University, author of the first lingvistics textbook in Georgian, founder of the laboratory of experimental phonetics at the University, founder of the linguistic society and logopaedics in Georgia, researcher into general and experimental phonetics, Sanskrit, Greek and Ossetian languages.
Sculptor: **Otar Parulava**

**ივანე ბერიტაშვილი** (1884-1974), უნივერსიტეტის დამაარსებელი, საქართველოში ფიზიოლოგიური სკოლის ფუძე-მდებელი, უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, მრავალი ქვეყნის სამეცნიერო აკადემიის წევრი და პრემიის მფლობელი.
მოქანდაკე: **სილოვან კაკაბაძე**

**IVANE BERITASHVILI** (1884-1974), founder of the University, as well as of the Physyological School in Georgia, of the University's Chair of Physiology, haeaded by him, member of seientific academies of many countries and prize winner.
Sculptor: **Silovan Kakabadze**

ელექტრონული ბიბლიოთეკა





**ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ** (1879-1962), უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარი, უნივერსიტეტში ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის დამაარსებელი, თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, თსუ პრორექტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.
მოქანდაკე: **გიორგი ოჩიაური**

**KORNELI KEKELIDZE** (1879-1962), founder of the University, eminent researcher into Old Georgian Literature, founder of the Chair of Old Georgian Literature at the University, Dean of the Faculty of Philosophy at TSU, Pro-Rector of TSU, Director of the Rustaveli Institute of Georgian Literature.
Sculptor: **Giorgi Ochiauri**

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ** (1988-1969), უნივერსიტეტის დამაარსებელი, ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვლევარი და ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტუროლოგი, მთარგმნელი, უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი.
მოქანდაკე: **ოთარ ფარულავა**

**SHALVA NUTSUBIDZE** (1988-1969), founder of the University, philosopher, student and historian of Georgian philosophical thought, literary critic, culturologist, translator, Pro-Rector of the University, one of the founders of the Georgian Academy of Sciences.
Sculptor: **Otar Parulava**



**გიორგი ჩუბინაშვილი** (1885-1973), უნივერსიტეტის დამაარსებელი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი, უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტისა და ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამფუძნებელი და მისი პირველი რექტორი.
მოქანდაკე: **კარლო ბაკურაძე**

**GIORGI CHUBINASHVILI** (1855-1963), founder of the University, initiator of the study of Georgian art, founder of a study of art seminar at the University, as well as of the Tbilisi Academy of Art and its first Rector
Sculptor: **Karlo Bakuradze**



**გიორგი წერეთელი** (1904-1973), თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ცნობილი სემიტოლოგი, უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დამაარსებელი.
მოქანდაკე: **გიორგი ოჩიაური**

**GIORGI TSERETELI** (1904-1973), graduate of the Faculty of Philosophy of Tbilisi University, well-known Semitist, founder of the Chair of Semitic Studies at the University and of the Institute of Oriental Studies of the Georgian Academy of Sciences.
Sculptor: **Giorgi Ochiauri**



**ფილიპე გოგიჩაიშვილი** (1872-1950), უნივერსიტეტის დამაარსებელი, საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებათა თვალსაჩინო წარმომადგენელი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მთარგმნელი, პუბლიცისტი.
მოქანდაკე: **ლევან სალუქვაძე**

**PILIPE GOGICHAISHVILI** (1872-1950), founder of the University, prominent representative of economic sciences in Georgia, public figure and statesman, translator, publicist.
Sculptor: **Levan Salukvadze**



დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია
უნივერსიტეტის ეზოში
არქიტექტორი: გ. მარსაგიშვილი

**David the Builder Church**
Architect: G.Marsagishvili

ელექტრონული ბიბლიოთეკა

n 25/6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახური
http://www.tsu.edu.ge/geo/museums.htm

Museum Service of I. Javakhishvili State University of Tbilisi
http://www.tsu.edu.ge/eng/museums.htm

რედაქტორი ზ. გაიპარაშვილი
Editor: Z. Gaiparashvili

ფოტო ა. უნაფქოშვილისა და გ. შეყილაძის
Photography: A.Unapkoshvili, G. Shekiladze

დაიბეჭდა საქართველოს სახალხო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.
Printed by financial support of the People's Bank of Georgia

გამომცემლობა „უნივერსალი"
მის.: ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ. 29-09-60